რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ განხორციელებული ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი ხელოვნური ბარიერების, მავთულხლართების, ტრანშეების და ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების ინსტალაცია 2011 წელს დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს.
დღეისათვის, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტს შეადგენს. გარდა ამისა, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ჯამში დაახლოებით 52 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეებია გავლებული.

- 2011 წლის შემოდგომაზე გორის რაიონის სოფელ დიდ ხურვალეთში დაახლოებით 1 კმ-მდე სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა;

- გორის რაიონის სოფელ ქვემო ნიქოზში დაახლოებით 3 კმ-მდე სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა;

- 2012 წელს გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში დაწყებული მავთუხლართებისა და ღობეების ინსტალაციის პროცესი 2013 წლის ივნისის თვეში გაგრძელდა და მისმა საერთო სიგრძემ დაახლოებით 800 მეტრი შეადგინა;

- 2013 წლის დასაწყისში ღობეების მეშვეობით ტერიტორიის გაყოფის პირველი მაგალითი გორის რაიონის სოფელ მერეთსა და ქსუისში დაფიქსირდა, რომლის სიგრძემ დაახლოებით 4 კმ შეადგინა;

- 2013 წლის თებერვალში გორის რაიონის სოფელ გუგუტიანთკარში დაახლოებით 143 მეტრამდე სიგრძის მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა;

- ქარელის რაიონის დვანის, თამარაშენისა და ატოცის სოფლების მონაკვეთზე ფრაგმენტულად დაახლოებით 6-8 კმ სიგრძის მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა;

- 2013 წლის 27 მაისს, გორის რაიონის სოფელ დიცში 1.5 კმ-მდე სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა, რომელიც 2013 წლის ივლისის თვიდან შემოიღობა;

- 2013 წლის მაისიდან დეკემბრამდე ქარელის რაიონის სოფელ კნოლევში, ავლევსა და ცერონისში დაახლოებით 3 კმ-მდე სიგრძის მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა;

- 2013 წლის გაზაფხულზე გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა. აღნიშნული ბორდერიზაციის პროცესი 2013 წლის დეკემბრის თვეში გაგრძელდა და მისმა სიგრძემ დაახლოებით 1.3 კმ შეადგინა;

- 2013 წლის აგვისტოს დასაწყისში ქარელის რაიონის სოფელ დირბში დაახლოებით 200 მეტრი სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა;

- 2013 წლის აგვისტოს დასაწყისში გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენში დაახლოებით 700 მეტრი სიგრძის მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა;

- 2013 წლის 19 სექტემბერს, ქარელის რაიონის სოფელ დვანში დაახლოებით 3 კმ-მდე სიგრძის ღობეები დაინსტალირდა. მოგვიანებით აღნიშნული ღობეები გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითისა და ზემო ნიქოზის ღობეებს შეუერთდა, რომლის საერთო სიგრძემ დაახლოებით 12 კმ შეადგინა;

- 2013 წლის ნოემბრის თვეში გორის რაიონის სოფელი დიციდან დასავლეთის მიმართულებით სოფელ ერგნეთამდე დაინსტალირებული ღობეების სიგრძემ დაახლოებით 5 კმ შეადგინა;

- 2013 წლის 24 ნოემბრიდან, ქარელის რაიონის სოფელ ღოღეთში ღობეების ინსტალაციის ახალი ტალღა დაიწყო. პროცესი 7 თებერვლიდან განახლდა და ახლად დამონტაჟებული მავთუხლართების სიგრძემ დაახლოებით 600 მეტრი შეადგინა;

- 2013 წლის 18 დეკემბერს ქარელის რაიონის სოფელ კოდაში და ოკუპირებულ წნელისში დაახლოებით 2 კმ სიგრძის ღობეები დაინსტალირდა;

- 2013 წლის 18 დეკემბერს, ქარელის რაიონის სოფელ დვანში დაახლოებით 373 მეტრი სიგრძის ღობეები დაინსტალირდა;

- კასპის რაინის სოფელ საკორინთლოში დაახლოებით 600 მეტრი სიგრძის ღობეები დაინსტალირდა;

- კასპის რაიონის სოფელ თვაურებსა და ოკუპირებულ ახმაჯის ტერიტორიებზე დაახლოებით 900 მეტრი სიგრძის მავთუხლართები დაინსტალირდა;

- 2014 წლის თებერვლის თვეში ქარელის რაიონის სოფელ ატოცში დაახლოებით 2 კმ-იანი სიგრძის მავთუხლართები და ღობეები დაინსტალირდა;

- 2014 წლის ივნისის შუა თვეში, გორის რაიონის სოფელ ქერეში და ოკუპირებულ სოფელ ოტრევში დაახლოებით 500 მეტრი მავთუხლართები დაინსტალირდა;

- 2015 წლის 10 ივლისს, თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის (E60) სიახლოვეს, გორის რაიონის სოფელ წითელუბანში და ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დაინსტალირდა;

- 2015 წლის 10-12 აგვისტოს, ქარელის რაიონის სოფელ თამარაშენისა და სოფელ ცერონისის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დაინსტალირდა;

- 2016 წლის 6 ივნისს, ქარელის რაიონის სოფელი ავლევის მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა;

- 2017 წლის 14 ივნისს, გორის რაიონის სოფელი წითელუბნის და ხურვალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე 3 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა;

- 2017 წლის 19 ივნისს, კასპის რაიონის სოფელი ყარაფილას მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა;

- 2017 წლის 19 ივნისს, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში 3 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა;

- 2017 წლის ივნისის ბოლოს, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში 2 ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი დაინსტალირდა.